ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N73

2024 წლის 20 დეკემბერი
ქ. ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ჰობი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის (უფასო სამგზავრო გადაყვანის) ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტებისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ჰობი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის (უფასო სამგზავრო გადაყვანის) ხელშეწყობის პროგრამა“ დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ჰობი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის (უფასო სამგზავრო გადაყვანის) ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N76 განკარგულება.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. N13).
4. განკარგულება ძალაში შევიდეს 2025 წლის 01 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ასლან საგანელიძე**

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ჰობი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის (უფასო სამგზავრო გადაყვანის) ხელშეწყობის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის შესახებ, მიზნები და ამოცანები

1. ჰობი განათლების სისტემა არის ახალგაზრდული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც საჯარო სკოლის მოსწავლეებს და ახალგაზრდებს ხელს უწყობს თავისუფალ დროს, ნებაყოფლობით გარემოში, მათ მიერ არჩეული ინტერესის/ჰობის შესაბამისად განივითარონ პიროვნული და სოციალური კომპეტენციები.

2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ჰობი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის (უფასო სამგზავრო გადაყვანის) ხელშეწყობის პროგრამის" (ტექსტში შემდგომ - „პროგრამა") მიზანია, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლე–ახალგაზრდებისთვის, ქალაქ ამბროლაურში მდებარე სხვადასხვა პროფილის ჰობი განათლების მიმწოდებელი დაწესებულებების სასწავლო პროგრამების, ასევე მათგან გამომდინარე, თანმდევი ინიციატივების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

3. პროგრამის ამოცანებია:

ა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სახელოვნებო და სპორტული სექციების თანაბარი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;

ბ) სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების თანმდევ ინიციატივებში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა;

გ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოზარდების მაქსიმალური ინკლუზია კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში;

დ) მოზარდთა სულიერი, ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობა;

ე) მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

მუხლი 2. პროგრამის ბენეფიციარები და ბენეფიტის გაცემის სიხშირე

1. პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლე–ახალგაზრდები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ქალაქ ამბროლაურში მდებარე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სახელოვნებო და სპორტულ ჯგუფებში.

2. პროგრამის ფარგლებში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ანაზღაურდება სასწავლო წლის მანძილზე დღეში მხოლოდ ორი სამგზავრო გადაყვანა:

ა) საცხოვრებელი ადგილის/სკოლის მიმდებარე ავტობუსის გაჩერებიდან - ქ. ამბროლაურის ცენტრამდე და უკან;

ბ) ქ. ამბროლაურის ცენტრიდან - სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებული, თანმდევი ინიციატივების განხორციელების ადგილამდე (ქვეყნის მასშტაბით) და უკან.

მუხლი 3. პროგრამის ადმინისტრირება, განხორციელების ვადები და გრაფიკი

1. სახელოვნებო და სპორტულ დაწესებულებების სასწავლო პროგრამების წვდომის ხელშეწყობის მიზნით, ამავე დაწესებულებებთან კონსულტაციის საფუძველზე განისაზღვრება უფასო გადაყვანის დღეები და დაინიშნება სპეციალური რეისები, რომლებიც შესრულდება 2025 წლის მანძილზე, არაუმეტეს 10 (ათი) თვის განმავლობაში.

2. კვირის განმავლობაში მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა და ოფიციალური უქმე დღეებისა მარშრუტებზე:

ა) სოფელი ნიკორწმინდა - ქ. ამბროლაური - სოფელი ნიკორწმინდა;

ბ) სოფელი ურავი - ქ. ამბროლაური - სოფელი ურავი;

გ) სოფელი ჭრებალო - ქ. ამბროლაური - სოფელი ჭრებალო.

3. ქვეყნის მასშტაბით გასამართ ღონისძიებებში ჩართულ ახალგაზრდას მომსახურება მიეწოდება საჭიროების შესაბამისად.

4. პროგრამის მიმდინარეობაზე ზედამხედველობას ახორციელებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურთან ერთად.

მუხლი 4. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამა ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და მისი ოდენობა განისაზღვრება პროგრამის ამოქმედების დროს ქ. ამბროლაურის სახელოვნებო და სპორტულ დაწესებულებებში ჩართული აღსაზრდელების რაოდენობის, სახელოვნებო და სპორტული ჯგუფების მეცადინეობების გრაფიკის ინტენსივობის და მგზავრობის საბაზრო ტარიფების გათვალისწინებით, ფაქტობრივად განხორციელებული რეისების რაოდენობის შესაბამისად.

მუხლი 5. მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლე–ახალგაზრდების ქალაქ ამბროლაურში მდებარე სახელოვნებო და სპორტულ დაწესებულებებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების თანმდევ ინიციატივებში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფას და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდების სოციალური, კულტურული და სპორტული უნარების განვითარებას.

მუხლი 6. პროგრამის განხორციელების ვადები

პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2025 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 7. დასკვნითი დებულება

პროგრამაში ცვლილებების ინიცირება შეუძლია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს დამოუკიდებლად ან ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე.